

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს Fashion Retail Georgia

2019 წლის 31 მარტი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T: + 995 322 604 406

შპს “Fashion Retail Georgia”- ს მფლობელებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით მომზადებული შპს “Fashion Retail Georgia”-ს (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და აღნიშნული თარიღით ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით, ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პაუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით “აუდიტორის პაუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე”. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ (“IESBA Code”) შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებულები ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

სხვა საკითხები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-18 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან დაშვებებს.

საოპერაციო საქმიანობის განმავლობაში კომპანია მრავალ ტრანზაქციას ახორციელებს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებთან და საბოლოო მაკონტროლებელ მხარესთან (მოიცავს საქონლის მიწოდებას, სესხებს წინასწარ განსაზღვრული გადახდის ვადების გარეშე). კომპანია მოცემულ ტრანზაქციებს განიხილავს როგორც არაკომერციული შინაარსის მქონეს, განხორციელებულს მაკონტროლებელი მხარის მხრიდან მისი განკარგულებითა და ინსტრუქციით, და ამ ტრანზაქციებთან დაკავშირებულ სარგებელს აღრიცხავს კაპიტალის ნაწილში (კაპიტალში კონტრიბუცია).

ჩვენი მოსაზრება არ არის პირობითი ამ საკითხთან დაკავშირებით.

მმართველობითი ანგარიშგება

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულება გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა - გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენს მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ქეთევან დამბაშიძე

დირექტორი, რეგისტრირებული აუდიტორი

2019 წლის 13 დეკემბერი

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენს მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ქეთევან ღამბაშიძე

დირექტორი, რეგისტრირებული აუდიტორი

2019 წლის 13 დეკემბერი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 მარტი	2018 წლის 31 მარტი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	6,323	8,275
		6,323	8,275
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	16,764	17,296
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	5,176	4,912
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	7	372	2,127
		22,312	24,335
სულ აქტივები		28,635	32,610
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
კაპიტალში კონტრიბუცია	8.1	56,469	48,045
აკუმულირებული ზარალი		(34,119)	(30,118)
		22,350	17,927
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	9	-	10,625
		-	10,625
მიმდინარე ვალდებულებები	10		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		5,367	3,318
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		918	740
		6,285	4,058
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		28,635	32,610

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2019 წლის 13 დეკემბერს:

რევაზ მაღალაშვილი

საცალო გაყიდვების დირექტორი

ფიქრია გვიშიანი

ფინანსური მენეჯერი

თანდართული შენიშვნები 10-37 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 მარტი	2018 წლის 31 მარტი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	6,323	8,275
		6,323	8,275
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	16,764	17,296
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	5,176	4,912
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	7	372	2,127
		22,312	24,335
სულ აქტივები		28,635	32,610
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
კაპიტალში კონტრიბუცია	8.1	56,469	48,045
აკუმულირებული ზარალი		(34,119)	(30,118)
		22,350	17,927
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	9	-	10,625
		-	10,625
მიმდინარე ვალდებულებები	10		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		5,367	3,318
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		918	740
		6,285	4,058
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		28,635	32,610

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2019 წლის 13 დეკემბერს:

რევაზ მაღალაშვილი

საცალო გაყიდვების დირექტორი



ფიქრია გვიშინი

ფინანსური მენეჯერი



თანდართული შენიშვნები 10-37 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 მარტი	2018 წლის 31 მარტი
შემოსავალი	11	29,838	35,619
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	12	(20,055)	(24,997)
საერთო მოგება		9,783	10,622
სხვა შემოსავლები		2	3
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	13	(980)	(2,124)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(11,778)	(15,816)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		(2,973)	(7,315)
ფინანსური შემოსავალი	15	-	128
ფინანსური ხარჯები	15	(398)	(488)
სხვა ფინანსური ერთეულები	16	(312)	2,734
ზარალი დაბეგვრამდე		(3,683)	(4,941)
მოგების გადასახადის ხარჯი	17	(318)	(8)
წლის ზარალი		(4,001)	(4,949)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი შემოსავალი		(4,001)	(4,949)

თანდართული შენიშვნები 10-37 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ათასი ლარი	სააქციო კაპიტალი	კაპიტალში კონტრიბუცია	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ
2017 წლის 1 აპრილი	-	50,074	(25,169)	24,905
ზარალი წლის განმავლობაში	-	-	(4,949)	(4,949)
მთლიანი გაერთიანებული ზარალი	-	-	(4,949)	(4,949)
კაპიტალში კონტრიბუციის შემცირება (შენიშვნა 8.1)	-	(2,029)	-	(2,029)
მფლობელებთან დაკავშირებული ტრანზაქციები	-	(2,029)	-	(2,029)
2018 წლის 31 მარტი	-	48,045	(30,118)	17,927
ზარალი წლის განმავლობაში	-	-	(4,001)	(4,001)
მთლიანი გაერთიანებული ზარალი	-	-	(4,001)	(4,001)
სესხის პირობების ცვლილებით გამოწვეული კონტრიბუციის კლება კაპიტალში (შენიშვნა 8.1)	-	(3,586)	-	(3,586)
კაპიტალში კონტრიბუციის ზრდა	-	12,010	-	12,010
მფლობელებთან დაკავშირებული ტრანზაქციები	-	8,424	-	8,424
2019 წლის 31 მარტი	-	56,469	(34,119)	22,350

თანდართული შენიშვნები 10-37 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კაპიტალში ცვლილების ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი ლარი	2019 წლის 31 მარტი	2018 წლის 31 მარტი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ზარალი წლის განმავლობაში	(4,001)	(4,949)
კორექტირებები:		
ცვეთა	2,120	2,689
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	22	-
ძირითადი საშუალებების გაუფასურება/(გაუფასურების კორექტირება)	701	(426)
საპროცენტო ხარჯი	398	488
მოგების გადასახადის ხარჯი	318	8
ფინანსური შემოსავალი	-	(128)
მარაგების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	500	(177)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	312	(2,734)
საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე	370	(5,229)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება	(193)	14
მარაგების ცვლილება	32	3,300
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება	2,036	(10,212)
ფული საოპერაციო საქმიანობიდან	2,245	(12,127)
გადახდილი მოგების გადასახადი	(140)	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,105	(12,127)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(1,664)	(513)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	773	1,727
მიღებული საპროცენტო შემოსავლები	-	128
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(891)	1,342
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალში კონტრიბუციის ზრდა	12,010	4,785
კაპიტალში კონტრიბუციის შემცირება	-	(6,814)
აღებული სესხები	-	15,937
დაფარული სესხები	(15,125)	(4,763)
წმინდა ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან	(3,115)	9,145
წმინდა მატება/კლება ფულსა და საბანკო ანგარიშებზე	(1,901)	(1,640)
საკურსო სხვაობის გავლენა ფულზე	146	(389)
ფული საბანკო ანგარიშებსა და ხელზე პერიოდის დასაწყისში	2,127	4,156
ფული საბანკო ანგარიშებსა და ხელზე პერიოდის ბოლოს	372	2,127

თანდართული შენიშვნები 10-37 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს “Fashion Retail Georgia” არსებობს 2011 წლის აპრილიდან. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს “Retail Group Georgia LLC”, რომელიც მდებარეობს თბილისში, საქართველოში.

კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს ცნობილი ბრენდების ტანსაცმლითა და აქსესუარებით საცალო ვაჭრობა თბილისის სავაჭრო ცენტრებსა და მოლებში.

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: ძველი თბილისის რაიონი, თელავის ქ. #20, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ოფისის მისამართია: ქეთევან წამებულის გამზირი 50/18, თბილისი, საქართველო.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, გამოშვებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის ცალკე წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია IAS 27 ცალკეული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. გარდა კომპანიისა და მისი შვილობილების 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით შედგენილი კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებისა, რომელიც მომზადებულია IFRS 10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, ცალკე წარდგენილ ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) მოთხოვნით მისი შემდგომი გამოქვეყნების მიზნით. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოპოვება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქეთევან წამებულის გამზირი 50/18 თბილისი, საქართველო.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა განსაზღვრული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელთა ღირებულებაც განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში (წინააღმდეგ შემთხვევაში აღვნიშნავთ). ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგავლებულია უახლოეს ათას ლარამდე.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც გავლენას ახდენს წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებაზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე შემოსავლებსა და ხარჯებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. მნიშვნელოვანი ნაწილები, რომლებიც მოიცავს მაღალი დონის შეფასებასა და მოსაზრებას, ასევე ანგარიშგების მნიშვნელოვან ნაწილს, სადაც მოსაზრებები და შეფასებები დიდ გავლენას ახდენს ანგარიშგებაზე, წარმოდგენილია მე-18 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების ათვისება

კომპანიამ ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება კომპანიის ოპერაციებს. ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ.

ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ანაცვლებს ბასს 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალ სტანდარტს შემოაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებები ბასს 39-ის მიდგომაში ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაში და შემოაქვს ახალი “მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის” მოდელი ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის. ფასს 9 ასევე მოიცავს ახალ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის დანერგვასთან მიმართებაში.

ფასს 9-ის დანერგვისას, კომპანიამ გამოიყენა გადასვლის შეღავათი და არჩია არ გადაეანგარიშებინა წინა პერიოდები. სხვაობა, რომელიც წარმოიშვა ფასს 9-ის დანერგვისას კლასიფიკაციასთან, შეფასებასთან და გაუფასურებასთან დაკავშირებით აღიარებულია გაუნაწილებელ მოგებაში.

ფასს 9-ის დანერგვამ გავლენა მოახდინა კომპანიის ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაზე. ხელმძღვანელობა ფლობს ფინანსურ აქტივებს ფლობისთვის და მათგან იღებს შესაბამის ფულად ნაკადებს.

პირველადი გამოქვეყნების თარიღისთვის, 2018 წლის 31 მარტისთვის, კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტები კლასიფიცირებული იყო შემდეგნაირად:

ათასი ლარი	გაზომვის კატეგორია		საბალანსო ღირებულება		
	ორიგინალი ბასს 39-ის კატეგორია	ფასს 9-ის კატეგორია	31.03.2018 წლის ბოლოს ბალანსი (ბასს 39)	ფასს 9-ის ათვისება	01.04.2018 საწყისი ბალანსი (ფასს 9)
მიმდინარე ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სესხები და მოთხოვნები (ამორტიზირებული ღირებულება)	ამორტიზირებული ღირებულება	246	-	246
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები	სესხები და მოთხოვნები (ამორტიზირებული ღირებულება)	ამორტიზირებული ღირებულება	2,127	-	2,127
მთლიანი ფინანსური აქტივების ბალანსი			2,373	-	2,373

ფასს 9-ის ათვისებას გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებებზე. სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მთლიანი სიცოცლის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარების გამარტივებულ მოდელს, რადგან ეს პუნქტები არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფინანსური კომპონენტებს. (იხ. შენიშვნა 20)

ფასს 15 შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან

ფასს 15 და ფასს 15-თან დაკავშირებული განმარტებები (შემდგომში მოხსენიებული როგორც ფასს 15) ანაცვლებს ბასს 18 შემოსავალი, ბასს 11 სამშენებლო კონტრაქტები, და შემოსავლებთან დაკავშირებულ რამოდენიმე ინტერპრეტაციას.

კომპანიის გაყიდვების ბუნებიდან გამომდინარე, სადაც გაყიდვების დაახლოებით ნახევარი ხდება ადგილობრივ საცალო მომხმარებლებზე, რომლებიც გარიგების მომენტში დაუყოვნებლივ იხდიან შეძენილი საქონლის ღირებულებას (კომპანიას არ აქვს მომხმარებელთა ლოიალობის პროგრამები), ხოლო გაყიდვების მეორე ნახევარს წარმოადგენს საექსპორტო გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც ასევე აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც საქონელი მიეწოდება, ფასს 15-ის გამოყენებამ მნიშვნელოვანი გავლენა არ მოახდინა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ 22 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად

ფასიკ 22 განიხილავს რომელი სავალუტო კურსი უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც ხორციელდება ანაზღაურების გადახდა ან მიღება ავანსად, სანამ აღიარდება შესაბამისი აქტივი, ხარჯი ან შემოსავლი.

ფასიკ 22 მიმართავს ამ საკითხს, რომ განმარტოს როგორ განისაზღვრება ოპერაციის თარიღი იმ სავალუტო კურსის დასადგენად, რომელიც გამოიყენება შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარებისას, ოპერაციის თარიღად მიიჩნევა თარიღი, როდესაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს საავანსო ანაზღაურების გადახდის, ან მიღების შედეგად წარმოქმნილ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას.

თუ ავანსად გადახდის ან მიღების ბევრი შემთხვევა არსებობს, კომპანიამ ოპერაციის თარიღი ცალ-ცალკე უნდა დაადგინოს თითოეული გადახდილი ან მიღებული საავანსო ანაზღაურებისათვის.

სტანდარტები, არსებული სტანდარტების ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ზასს”) მიერ გამოქვეყნებულია რამდენიმე ახალი სტანდარტი, არსებული სტანდარტების ცვლილებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და კომპანიას ვადაზე ადრე არ გამოუყენებია.

ხელმძღვანელობა მოელის, რომ ყველა შესაფერისი სტანდარტი, განახლება თუ ინტერპრეტაცია მიღებული იქნება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მათი ძალაში შესვლისთანავე. ინფორმაცია ახალ სტანდარტებზე, განახლებებზე და ინტერპრეტაციებზე, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ შესაფერისი იქნება კომპანიის ფინანსური ანგარიშგებისათვის, წარმოდგენილია ქვემოთ. ზოგიერთი სხვა ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები გამოქვეყნებულია, მაგრამ არ არის მოსალოდნელი, რომ იქონიებს არსებითი გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს 9-ში: წინასწარგადახდის პირობები უარყოფითი ანაზღაურების შესაძლებლობით

ფასს 9-ის თანახმად, სავალუტო ინსტრუმენტი ნებადართულია, რომ შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმის გათვალისწინებით, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს “მხოლოდ ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის ნაწილთან დაკავშირებულ პროცენტების გადახდას” (SPPI კრიტერიუმი) და ინსტრუმენტი ფლობილია კლასიფიკაციის შესაბამისი ბიზნეს მოდელის პირობებში. ფასს 9-ის ცვლილებები აზუსტებს, რომ ფინანსური აქტივები შედის SPPI -ის კრიტერიუმში იმის მიუხედავად, თუ რა მოვლენა და გარემოება იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას, და მიუხედავად იმისა, რომელი მხარე გადაიხდის ან მიიღებს გონივრული ოდენობის ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის.

ცვლილებები უნდა განხორციელდეს რეტროსპექტულად და მოქმედებს 2019 წლის 1 იანვრს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდისათვის, ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. კომპანიის ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ არ შეუფასებია ამ ცვლილებების გავლენა მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 აწესებს ახალ მოთხოვნებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფასს 16 მოითხოვს იჯარა აღრიცხვოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივი “გამოყენების უფლებით” და იჯარის ვალდებულება.

ფასს 16 ასევე:

- ცვლის იჯარის განმარტებას;
- აწესებს მოთხოვნებს, თუ როგორ აღვრიცხოთ აქტივი და ვალდებულება, ასევე რთული საკითხები, როგორებიცაა არასაიჯარო ელემენტები, ცვლადი იჯარის გადასახადები და ოპციის პერიოდი;
- ითვალისწინებს გამონაკლისებს მოკლევადიან იჯარაზე და დაბალფასიანი აქტივების იჯარებზე;
- ცვლის აღრიცხვას რეალიზაციის და უკუიჯარის გარიგებებზე;
- ძირითადად ინარჩუნებს ბასს 17-ის მიდგომას;
- გვაცნობს ახსნა განმარტებითი შენიშვნების ახალ მოთხოვნებს.

ფასს 16 ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან. სტანდარტის ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. ხელმძღვანელობას ჯერ არ შეუფასებია ამ ცვლილების გავლენა ფინანსურ ნაგარიშგებაზე.

IFRIC 23 მოგების გადასახადთან დაკავშირებული გაურკვევლობა

ფასიკ 23 იძლევა მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენება ბასს 12-ის აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები იმ შემთხვევაში, როდესაც გაურკვეველია მოგების გადასახადის გამოთვლასთან დაკავშირებული მიდგომები, კონკრეტულად (ი) მოგების გადასახადის გამოთვლასთან დაკავშირებული საგადასახადო მიდგომები ცალ-ცალკე უნდა განიხილებოდეს თუ არა, (იი) დაშვებები საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო მიდგომების შემოწმებასთან დაკავშირებით, (იიი) განსაზღვრა დასაბეგრი მოგების (საგადასახადო ზარალის), საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტების და საგადასახადო განაკვეთების, და (ივ) ფაქტებსა და გარემოებებში მომხდარი ცვლილებების ეფექტი.

IFRIC 23 ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ადრეული გამოყენება.

2015-2017 პერიოდის ყოველწლიური განახლებები (გამოცემული 2017 წლის დეკემბერში)

2015-2017 წლების წლიურმა განახლებებმა მოახდინა მცირე რაოდენობით შესწორება რამდენიმე ფასების. კომპანიასთან დაკავშირებული ცვლილებები შეჯამებულია ქვემოთ:

ბასს 12 – მოგებიდან გადასახადები: მოგების გადასახადთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ეხება კაპიტალურ ინსტრუმენტებს

ბასს 12-ში შეტანილი შესწორებები განმარტავს, რომ მოგების გადასახადის საგადასახადო შედეგები დივიდენდებზე აღიარდება მოგებაში ან ზარალში, სხვა სრულ შემოსავალში ან საკუთარ კაპიტალში, იმისდა მიხედვით, სად ჰქონდა საწარმოს თავდაპირველად აღიარებული შესაბამისი წარსული ოპერაციები ან მოვლენები.

ბასს 12 ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2019 წლის 31 მარტს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6914 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.0203 ლარს (2018 წლის 31 მარტი: ერთი ამერიკული დოლარი 2.4144 ლარი და ერთი ევრო 2.9762 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწმებიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად. კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწმებულ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ხარჯები დაკავშირებული იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობასთან კაპიტალიზირდება ცალკე აქტივად და იცვითება აქტივის სასიცოცხლო მომსახურების ვადასა და საიჯარო ხელშეკრულების ვადას შორის უმცირესით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

სატრანსპორტო საშუალებები	- 25%
ავეჯი	- 10-12.5%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	- 12.5%
კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	- 10-12.5%.

3.3 ძირითადი საშუალებების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდიში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.4 იჯარა

ფასს 17-ის მიხედვით, მოიჯარეს იჯარით მიღებულ აქტივებზე ეკონომიკური მფლობელობა გადაეცემა, თუ მასზე გადადის იჯარით აღებული აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი აქტივი ლიზინგის დაწყების თარიღისთვის აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით, ან, თუ საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულება აქტივის სამართლიან ღირებულებაზე უფრო ნაკლებია, მაშინ აქტივი აღიარდება საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების ტოლი თანხით, პლუს თანმდევი გადახდების თანხა. ამავდროულად, შესაბამისი თანხა აღიარდება, როგორც ვალდებულება ფინანსური იჯარაზე.

შემდგომში, ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით ფლობილი აქტივების აღრიცხვა, მაგალითად ცვეთა და აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, ხდება ისეთნაირადვე, როგორც იმ მსგავსი აქტივების აღრიცხვა, რომლებიც იურიდიულად ეკუთვნის კომპანიას. ფინანსურ იჯარაზე ვალდებულება მცირდება გადახდილი საიჯარო გადასახდელების შესაბამისად, რომლებიც შემცირებულია ფინანსური ხარჯებით, რომლებიც თავის მხრივ მოგება-ზარალში ფინანსურ ხარჯებად აღიარდება. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი წარმოადგენს დასაფარი ძირითადის მუდმივ პროპორციას და აღიარდება მოგება-ზარალში საიჯარო ვადის განმავლობაში.

ყველა სხვა იჯარის ხარჯი აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარაზე გადასახდელი თანხები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. სხვა ასოცირებული დანახარჯები, როგორებიცაა რემონტის დანახარჯები და დაზღვევა, აღიარდება მოგება-ზარალში ხარჯის გაწევისთანავე.

3.5 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების

ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულებდა, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები დაყოფილი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 19.2

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და

ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და უმეტესი სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება, ისევე როგორც ბონდები, რომლებიც თავდაპირველად კლასიფიცირებული იყვნენ როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილნი ასს 39-ის მიხედვით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რემლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ზარალის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ზარალის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

ფინანსური აქტივების წინა გაუფასურება ბასს 39-ის მიხედვით

წინა წელს, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება დაფუძნებული იყო განცდილი ზარალის მოდელზე. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მოთხოვნები გაუფასურებისთვის განხილული იყო, ვადაგადასულობის შემთხვევაში ან როდესაც ობიექტური მტკიცებულების მიხედვით კონკრეტული შემხვედრი მხარე ვალდებულებას ვერ შეასრულებდა. მოთხოვნები, რომლებიც არ იყო ინდივიდუალურად განხილული გაუფასურებისთვის, განიხილებოდა ჯგუფებში, რაც დამოკიდებულია ინდუსტრიასთან მიმართებაზე, შემხვედრი მხარის რეგიონზე, და სხვა საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებზე. გაუფასურების ზარალის შეფასება დაფუძნებული იყო შემხვედრი მხარის ისტორიული შეუსრულებელი ვალდებულების კოეფიციენტზე თითოეული დადგენილი ჯგუფისთვის.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული

ვადის მიხედვით. იხილეთ შენიშვნა 20(ბ) დეტალური ანალიზისთვის თუ როგორ არის ფასს 9-ის დანერგვა გამოყენებული გაუფასურების მოთხოვნებში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

იქიდან გამომდინარე, რომ ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდი რჩება თითქმის იგივე ფასს 9-ის მიხედვით ბასს 39-თან შედარებით, კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებზე გავლენა არ მოუხდენია ფასს 9-ის დანერგვას. მიუხედავად ამისა, სრულყოფილებისთვის აღრიცხვის პოლიტიკა მოცემულია დაბლა.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, ობლიგაციებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 19.2 შენიშვნაში.

სასესხო ვალდებულებები

სესხები აღიარებულია თავდაპირველად რეალური ღირებულებით, შემცირებული გაცემის დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია სესხებთან. რეალურ და ნომინალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის აღება ხდება მესაკუთრისგან. ამ შემთხვევაში განსხვავება რეალურ და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხების ოდენობა განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულებით ნებისმიერი სხვაობა ღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალში, პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები დაკავშირებული სესხებთან არის ფინანსური ხარჯის ნაწილი, გარდა ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია შესყიდვასთან, მშენებლობასთან ან განსაკუთრებული აქტივის წარმოებასთან, რომლებიც კაპიტალიზირდება როგორც აქტივის ნაწილი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.7 ფული და მისი ექვივალენტები

ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, საბანკო ანგარიშებზე და ფული გზაში.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოთხოვნამდე დეპოზიტები, სხვა მოკლევადიან, მაღალი რისკისა და ინვესტიციებთან ერთად, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცილება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლიადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

3.8 კაპიტალი

სააქციო კაპიტალი განისაზღვრება გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულებით.

დაგროვილი მოგება/ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას ან აკუმულირებულ ზარალს.

დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდება.

მეკავშირებთან დაკავშირებული ტრანზაქციები პირდაპირ აღიარდება კაპიტალში.

3.9 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი გადასახდელი გადასახადი / (ანაზღაურებადი) წლის შემოსავალზე / (ზარალზე), საანგარიშო თარიღის შესაბამისად არსებული ან სპეციალურად დადგენილი გადასახადის განაკვეთების გამოყენებით, ასევე წინა წლებში არსებული გადასახადების ნებისმიერი კორექტირების გათვალისწინებით.

ცვლილებები მოგების გადასახადში, რომელიც ძალაში შედის 2017 წლის 1-ლი იანვრიდან.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიცი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა.

მოგების გადასახადი წარმოქმნილი დივიდენდების განაწილებიდან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

საგადასახადო ვალდებულებისათვის შესაძლებელია მოგების გადასახადის ჩათვლა, 2017 წელს ან მოგვიანებით ნებისმიერი გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდისათვის, წინა მოდელის მიხედვით 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.10 შემოსავალი

შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება ტანსაცმლის რეალიზაციიდან საცალო მაღაზიების ქსელის მეშვეობით, ან აქციების ხელახალი მიყიდვით საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირებისთვის.

იმისათვის, რომ განისაზღვროს უნდა აღიარდეს თუ არა შემოსავალი კომპანია განიხილავს 5 საფეხურიანი პროცესს

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება

შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ პერიოდის განმავლობაში ან დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებებს, მომხმარებელისთვის დაპირებული საქონლის ან სერვისის მიწოდებით. აქტივის გადაცემა ხდება, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს ამ აქტივის კონტროლს. აქტივის კონტროლი ეხება აქტივიდან სარგებლობის და არსებითად ყველა დანარჩენი სარგებელის გამოყენების შესაძლებლობას.

კომპანია აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებებს ანაზღაურებულად (წინასწარ ანაზღაურებულად) საკონტრაქტო შეუსრულებელი სამუშაოების მიხედვით და ამ თანხებს აფიქსირებს, როგორც სხვა ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. მსაგვსად, თუკი კომპანია შეასრულებს კონტრაქტის ვალდებულებებს, მანამ, სანამ მიიღებს ანაზღაურებას, კომპანია აღიარებს მას, ან

როგორც საკონტრაქტო აქტივს, ან როგორც მოთხოვნას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, იმის მიხედვით, არის თუ არა დრო ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი. კომპანიას არ აქვს მომხმარებელთა ლოიალობის პროგრამები და არ აწვდის იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს დაუკმაყოფილებელი შესასრულებელი ვალდებულებები გაყიდვების მომენტის გარდა.

საქონლის გაყიდვა

შემოსავალი ფასდება მიღებული კომპენსაციის ან მოთხოვნის ოდენობით, კომპანიის მიერ ნებადართული ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლების გათვალისწინებით და აღიარდება გაყიდვის მომენტში.

შემოსავალი შემცირებულია საქონლის დაბრუნებების, ფასდაკლებებისა და სხვა მსგავსი ფასდათმობებით.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა ხდება დროის შესაბამისად, გადაუხდელი ძირი თანხისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად, რომელიც თავისთავად, წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებას ახდენს აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში და დაჰყავს ის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

4 ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი	იჯარით აღებული ქონების რემონტი	ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	სატრანს- პორტო საშუალებები	კომპიუტერები და სხვა აღჭურვილობა	სულ
ღირებულება					
2017 წლის 1 აპრილი	10,557	8,964	121	1,623	21,265
შემოსვლა	427	17	-	69	513
გასვლა	(2,319)	-	-	-	(2,319)
2018 წლის 31 მარტი	8,665	8,981	121	1,692	19,459
შემოსვლა	853	286	-	525	1,664
გასვლა	(1,384)	-	-	-	(1,384)
2019 წლის 31 მარტი	8,134	9,267	121	2,217	19,739
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
2017 წლის 1 აპრილი	4,367	4,371	61	714	9,513
წლის ცვეთა	1,011	1,383	37	258	2,689
გასვლის შედეგად კორექტირება	(592)	-	-	-	(592)
გაუფასურების რეზერვის ამოტრიალება	-	(426)	-	-	(426)
2018 წლის 31 მარტი	4,786	5,328	98	972	11,184
წლის ცვეთა	657	222	23	1,218	2,120
გასვლის შედეგად კორექტირება	(589)	-	-	-	(589)
გაუფასურების ზარალი	426	248	-	27	701
2019 წლის 31 მარტი	5,280	5,798	121	2,217	13,416
საბალანსო ღირებულება					
2018 წლის 31 მარტი	3,879	3,653	23	720	8,275
2019 წლის 31 მარტი	2,854	3,469	-	-	6,323

ცვეთის ხარჯი და გაუფასურების ზარალი აღიარდება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობისა და ავეჯის ზრდა წარმოადგენს დანახარჯებს ახლად გახსნილ მაღაზიებში.

2019 წლის 31 მარტისთვის გაუფასურებულია კომპანიის ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა აღჭურვილობა, იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა, რომელიც მიეკუთვნება ცალკეული შემოსავლის წარმომქმელ მაღაზიებს, რომელთა საქმიანობაც მოსალოდნელზე მეტად გაუარესდა და მენეჯმენტი არ ელის მდგომარეობის გამოსწორებას უახლოესი სამი წლის განმავლობაში.

მაღაზიების ჩამონათვალი, რომელიც განიცდის ზარალს გაუფასურებიდან წარმოდგენილია ქვემოთ:

მაღაზია	ადგილმდებარეობა	მიზეზი
Banana Republic	“თბილისი მოლი”	შემცირებული ეფექტიანობა
F&F	“თბილისი მოლი”	შემცირებული ეფექტიანობა

გაუფასურების ზარალი თითოეული მაღაზიისთვის დაკავშირებულია შემდეგ კლასებთან:

ათასი ლარი	იჯარით აღებული ქონების რემონტი	ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	კომპიუტერები და სხვა აღჭურვილობა	სულ
Banana Republic	33	228	26	587
F&F	93	20	1	114
	426	248	27	701

იჯარით აღებული შემცირებული ეფექტიანობის მქონე მაღაზიების კეთილმოწყობა სრულადაა გაუფასურებული და შეადგენს ნულს, რადგან მას არც სამართლიანი და არც გამოყენების ღირებულება არ გააჩნია.

სხვა გაუფასურებული ერთეულებისთვის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება, როგორც სამართლიანი ღირებულება შემცირებული გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯებით. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის შესახებ ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 21-ში.

აღდგენითი ღირებულებების ჩამონათვალი თითოეული ერთეულისთვის 2019 წლის 31 მარტისთვის მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	სულ
Banana Republic	331
F&F	27
	358

2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით სხვა დამატებით გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია. 426 ათასი ლარის ოდენობის გაუფასურების ზარალი, რომელიც მანამდე აღიარებულ იქნა ცალკეული ავეჯისა და საოფისე აღჭურვილობისთვის, ამოტრიალდა, რადგან მაღაზიების გახსნის მიზნით ისინი გაიტანეს საწყობებიდან. გახსნილი მაღაზიების საკმევანობის ეფექტიანობის საფუძველზე კი გაზრდილია მათი გამოყენების ღირებულება.

5 მარაგები

ათასი ლარი	2019 წლის 31 მარტი	2018 წლის 31 მარტი
გასაყიდად არსებული ტანსაცმელი და აქსესუარები	16,096	16,781
ძნელად გაყიდვადი და მოძველებული მარაგების გაუფასურების რეზერვი	(3)	(503)
საქონელი გზაში	38	422
მაღაზიის მოსართავი ინვენტარი	59	-
შესაფუთი მასალები	574	596
	<u>16,764</u>	<u>17,296</u>

2019 წლის 31 მარტისთვის მარაგების გაუფასურების რეზერვი შემცირდა 500 ათასი ლარის ოდენობით. კომპანიის მიერ ძნელად გაყიდვადი მარაგების გაყიდვის მიზნით მოწყობილი საცალო გაყიდვებისა და ფასდაკლებების საფუძველზე კომპანიამ თავიდან განსაზღვრა ასეთი მარაგებისთვის რეზერვის ოდენობა.

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2019 წლის 31 მარტი	2018 წლის 31 მარტი
<i>ფინანსური აქტივები</i>		
სავაჭრო მოთხოვნები	509	369
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(123)	(123)
	<u>386</u>	<u>246</u>
<i>არაფინანსური აქტივები</i>		
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	71	33
წინასწარ გადახდილი იჯარა	335	336
წინასწარ გადახდილი დაზღვევა	-	1
წინასწარი გადახდებისა ხელმწიფო ბიუჯეტში	4,330	4,220
სხვა	54	76
	<u>4,790</u>	<u>4,666</u>
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	<u>5,176</u>	<u>4,912</u>

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უტოლდება მის სამართლიან ღირებულებას.

კომპანიის ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნა შედარებით პერიოდებში გამოიყენება, როგორც გაუფასურების ინდიკატორი. მოთხოვნები წარმოშობილია დაკავშირებულ მხარეებთან.

შენიშვნა 20 (ბ) შეიცავს ინფორმაციას, რომელიც ეხება საკრედიტო რისკზე მოქმედ ფაქტორებს და ანალიზს, რომელიც დაკავშირებულია სავაჭრო საკრედიტო ზარალის რეზერვთან.

ზემოხსენებული გაუფასურების რეზერვი ეხება ბასს 39-ის შეფასების საფუძველს, რომელიც იყენებს მიღებული ზარალის ანაზღაურების მოდელს, ხოლო მიმდინარე წელს გამოიყენება ფასს 9, რომელიც მოსალოდნელი ზარალის მოდელია.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 20(ა).

7 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ათასი ლარი	2019 წლის 31 მარტი	2018 წლის 31 მარტი
ფული სალაროში	103	104
საბანკო ანგარიშები	269	2,023
	372	2,127

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 20(ა).

8 კაპიტალი და რეზერვები

8.1 შენატანები კაპიტალში

საოპერაციო საქმიანობის განმავლობაში კომპანია მრავალ ტრანზაქციას ახორციელებს კომპანიებთან საერთო კონტროლის ქვეშ. ამ ტრანზაქციებში ძირითადად იგულისხმება აღჭურვილობითა და მალაჩიების მოწყობილობებით უზრუნველყოფა იმ კომპანიების მხრიდან, რომლებიც წარმოადგენენ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს, რომელთათვისაც გადახდების პირობები და ვადები განსაზღვრული არაა, ან შეიძლება განისაზღვროს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ.

გარდა ამისა, კომპანია მაკონტროლებელი მხარისგან იღებს დამატებით ფულად სახსრებს საპროცენტო განაკვეთის არმქონე, არაუზრუნველყოფილი დაფინანსების სახით, განუსაზღვრელი გადახდის ვადის, პირობებისა და გრაფიკისა. კომპანიის მიერ ჯერ არ განხორციელებულა და არც უახლოეს მომავალში იგეგმება ამ მიღებული ფულადი სახსრების უკან დაბრუნება.

კომპანია მოცემულ ტრანზაქციებს განიხილავს, როგორც არაკომერციული შინაარსის მქონეს, განხორციელებულს მაკონტროლებელი მხარის მხრიდან მისი განკარგულებითა და ინსტრუქციით, და ამ ტრანზაქციებთან დაკავშირებულ ამონაგებს აღრიცხავს კაპიტალის ნაწილში (კაპიტალში კონტრიბუციის სახით). ხოლო ფულისა და მისი ექვივალენტების ისეთ გადახდებს, რომლებიც გულისხმობს მანამდე კაპიტალში შენატანის სახით არსებული საქონლისა და მომსახურების მიწოდებას, კომპანია აღრიცხავს კაპიტალისდებეტში. (კაპიტალის კონტრიბუციის შემცირებას).

9 სესხები

ათასი ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2019 წლის 31 მარტი	2018 წლის 31 მარტი	2019 წლის 31 მარტი	2018 წლის 31 მარტი
არაუზრუნველყოფილი სესხები				
დაკავშირებული მხარეებისგან	-	-	-	10,625
	-	-	-	10,625

სესხი შპს “Fashion Retail Georgia”- ს მიერ მიღებულია დაკავშირებული მხარის _შპს “Logistics Fashion Trading DWC”- სგან. სესხის ვადა შეადგენს 5 წელს, ნომინალური საპროცენტო განაკვეთი კი 1%-ს.

საბანკო სესხების სამართლიანი ღირებულება უტოლდება საბალანსო ღირებულებას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით 8.5%-ად. (2018: 8.5%) ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 7.62%-ს.

ანგარიშების პერიოდის განმავლობაში კომპანიამ მთლიანად დაფარა სესხი.

სესხები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 20(ა).

10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	2019 წლის 31 მარტი	2018 წლის 31 მარტი
სავაჭრო ვალდებულებები	4,621	2,869
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	116	111
ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე	630	338
	<u>5,367</u>	<u>3,318</u>

ვალდებულებები ბიუჯეტის წინაშე მოიცავს შემდეგს:

ათასი ლარი	2019 წლის 31 მარტი	2018 წლის 31 მარტი
საშემოსავლო გადასახადი	502	338
ქონების გადასახადი	128	-
	<u>630</u>	<u>338</u>

სავალუტო რისკების შესახებ იხილეთ შენიშვნა 20(ა).

11 შემოსავლები

ათასი ლარი	2019 წლის 31 მარტი	2018 წლის 31 მარტი
ადგილობრივი გაყიდვები	27,564	32,637
ექსპორტი	2,274	2,982
	<u>29,838</u>	<u>35,619</u>

კომპანიის შემოსავლები მთლიანად მიღებულია საქონლის გაყიდვით, შემოავლის აღირება ხდება საქონლის გაყიდვის მომენტშივე. კომპანიას არ გააჩნია საკონტრაქტო ვალდებულებები, რომელთა პირობებიც არ შეუსრულებია.

12 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ათასი ლარი	2019 წლის 31 მარტი	2018 წლის 31 მარტი
მარაგების შესყიდვის ღირებულება	19,704	25,036
როიალტის გადასახადი	351	138
მარაგების გაუფასურების რეზერვი	-	(177)
	<u>20,055</u>	<u>24,997</u>

13 დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი

ათასი ლარი	2019 წლის 31 მარტი	2018 წლის 31 მარტი
სარეკლამო და გაყიდვების ხელშეწყობის ხარჯები	474	1,656
შიდა სატვირთო და სადისტრიბუციო ხარჯები	255	301
საკრედიტო ბარათის საკომისიო	171	160
სხვა	80	7
	980	2,124

14 ადმინისტრაციული ხარჯები

ათასი ლარი	2019 წლის 31 მარტი	2018 წლის 31 მარტი
იჯარა	3,869	4,344
ცვეთა	2,120	2,689
თანამშრომელთა ანაზღაურება	1,822	1,991
მშობელი კომპანიისთვის გადახდილი მენეჯერული მომსახურების ხარჯი	1,094	1,329
ბანკის საკომისიო	662	3,141
საკომუნიკაციო და კომუნალური დანახარჯები	444	454
დაზღვევა	122	106
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	121	122
ოფისის კეთილმოწყობის ხარჯი	113	175
მივლინება და ტრანსპორტირება	33	7
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	22	-
ძირითადი საშუალებების გაუფასურება/გაუფასურების აღდგენა	701	(426)
სხვა ხარჯები	655	1,884
	11,778	15,816

15 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

ათასი ლარი	2019 წლის 31 მარტი	2018 წლის 31 მარტი
დაკავშირებული მხარისგან მიღებულ სესხზე პროცენტის ხარჯი	398	488
სულ ფინანსური ხარჯი	398	488
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებიდან	-	128
სულ ფინანსური შემოსავალი	-	128
წმინდა ფინანსური ხარჯები	(398)	(360)

16 სხვა ფინანსური ხარჯები

ათასი ლარი	2019 წლის 31 მარტი	2018 წლის 31 მარტი
მოგება/ზარალი საკუროს სხვაობიდან:		
სესხებსა და მოთხოვნებზე	217	(389)
ფინანსურ ვალდებულებებზე ამორტიზირებული ღირებულებით	(529)	3,123
	(312)	2,734

17 მოგების გადასახადის ხარჯი

მიმდინარე მოგების გადასახადი დაკავშირებულია ისეთ ერთეულებთან, რომლებიც იბეგრება ტრანზაქციის განხორციელების მომენტისათვის.

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეთანხმება არ ხდება, რამდენადაც დივიდენდები არ გამოცხადებულა 2019 და 2018 წლების 31 მარტისთვის.

კანონი მოგების გადასახადის შესახებ

ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (აქციონერებზე დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც დაკავშირებულია მოგების განაწილებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, არა გაშლილი ხელის პრინციპით განხორციელებული ტრანზაქციები მოკავშირე მხარეებთან, ხარჯები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). დაბეგრის შეცვლილი კონცეფციის თანახმად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულების მიმდინარე ღირებულებებში გადასახადებით გამოწვეული დროებითი სხვაობები არ არსებობს.

18 მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

18.1 ნიშნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო მომსხურების ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო პერიოდის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

ძირითადი საშუალებების აღდგენითი ღირებულებები

ხელმძღვანელობამ შეაფასა რა ძირითადი საშუალებების აღდგენითი ღირებულებები, აღიარა გაუფასურების ზარალი, რომელსაც წარმოადგენს სხვაობა აქტივების მიმდინარე ღირებულებასა და აღდგენით ღირებულებას შორის. შეფასებები ძირითადად ეყრდნობა დაშვებებს ცალკეული მაღაზიის საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ, კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებას და სხვა. (იხილეთ შენიშვნა 4). თუ რეალური შედეგები განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

18.2 სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული დაშვებები

კაპიტალში კონტრიბუცია

საოპერაციო საქმიანობის განმავლობაში კომპანია მრავალ ტრანზაქციას ახორციელებს სხვა საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებთან. ამ ტრანზაქციებში ძირითადად იგულისხმება აღჭურვილობითა და მალაზიების მოწყობილობებით უზრუნველყოფა იმ კომპანიების მხრიდან, რომლებიც წარმოადგენენ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს, რომელთათვისაც გადახდების პირობები და ვადები განსაზღვრული არაა ან შეიძლება განისაზღვროს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ.

გარდა ამისა, კომპანია მაკონტროლებელი მხარისგან დამატებით არაუზრუნველყოფილი დაფინანსების სახით იღებს საპროცენტო განაკვეთის არმქონე, განუსაზღვრელი გადახდის ვადის, პირობებისა და გრაფიკის მქონე ფულად სახსრებს. კომპანიის მიერ ჯერ არ განხორციელებულა და არც უახლოეს მომავალში იგეგმება ამ მიღებული ფულადი სახსრების უკან დაბრუნება.

კომპანია მოცემულ ტრანზაქციებს განიხილავს როგორც არაკომერციული შინაარსის მქონეს, განხორციელებულს მაკონტროლებელი მხარის მხრიდან მისი განკარგულებითა და ინსტრუქციით, და ამ ტრანზაქციებთან დაკავშირებულ ბენეფიტს აღრიცხავს კაპიტალის ნაწილში (კაპიტალში კონტრიბუციის სახით).

2019 წლის 31 მარტისთვის, კომპანიამ მიიღო სესხი დაკავშირებული მხარისგან პრივილეგირებული საპროცენტო განაკვეთითა და გახანგრძლივებული გადახდის პერიოდით. (შენიშვნა 9). სესხის ნომინალურ ღირებულებასა და 8.5%-ით დისკონტირებულ სესხის სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა, აღიარდა როგორც კაპიტალში კონტრიბუცია (კაპიტალის ელემენტი).

18.3 მნიშვნელოვანი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, მომავალთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დაშვებების თანახმად:

- ხელმძღვანელობის მხრიდან უახლოესი 12 თვის განმავლობაში მოძველებული მარაგების გაყიდვის მიზნით გატარებული ღონისძიებები, რაც მათი საწყობებიდან საცალო გაყიდვებს გულისხმობს, მარაგების გადაჭაბებული რაოდენობით გამოწვეული ზარალის გარეშე, წარმატებული იქნება 2019 წლის 31 მარტისთვის.
- საკონტროლო პაკეტის მფლობელების მხრიდან არ მოითხოვება გაწეული ფინანსური დახმარების სრულად და დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება, რომელიც თავდაპირველად კომპანიამ საპროცენტო განაკვეთის არმქონე ხესხის სახით მიიღო, განუსაზღვრელი ვადით, პირობებითა და დაფარვის გრაფიკით. (იხ. შენიშვნა 8.1)

19 ფინანსური ინსტრუმენტები

19.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.6-ში.

19.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

შენიშვნა 3.6 მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თითოეულ კატეგორიისა და მათთან დაკავშირებული აღრიცხვის პოლიტიკის აღწერას. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

ფინანსური აქტივები

31 მარტი 2019	ამორტიზირებული ღირებულება	სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალის გავლით (FVTPL)	დერივატივ ები ჰეჯირების თვის (FV)	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	386	-	-	386
ფული და საბანკო ანგარიშები	372	-	-	372
	758	-	-	758

ფინანსური ვალდებულებები

31 მარტი 2019	სხვა ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მოგება- ზარალის გავლით (other liabilities at FVTPL)	სხვა ვალდებულებები (ამორტიზირებული ღირებულებით)	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	4,737	4,737
	-	4,737	4,737

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია წინა პერიოდში ბასს 39-ის მიხედვით:

ფინანსური აქტივები

ათასი ლარი	გასაყიდად ფლობილი (FV)	სავაჭროდ გამიზნული	დერივატი- ვები (FV) ჰეჯირების- თვის	დაფარვის ვადად ფლობილი (ამორტიზირე- ბული ღირებულება)	სესხები და მოთხოვნები (ამორტიზირე- ბული ღირებულება)	სულ
2018 წლის 31 მარტი						
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-	-	246	246
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	-	-	2,127	2,127
	-	-	-	-	2,373	2,373

ფინანსური ვალდებულებები

ათასი ლარი	სხვა ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მოგება- ზარალის გავლით (other liabilities at FVTPL)	სხვა ვალდებულებები (ამორტიზირებული ღირებულებით)	სულ
2018 წლის 31 მარტი			
სესხები	-	10,625	10,625
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	2,980	2,980
	-	13,605	13,605

20 ფინანსური რისკების მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

ფინანსური რისკის ფაქტორები

a) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკუროსო სხვაობების რისკი.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკუროსო სხვაობები კომპანიას წარმოექმნება უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში, ევროსა და ბრიტანულ ფუნტში.

უცხოური ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკუროსო რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ. თანხები გადაყვანილია ლარებში საანგარიშგებო წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ერთეული

2019 წლის 31 მარტი	დოლარი	ევრო	ბრიტანული ფუნტი
<i>ფინანსური აქტივები</i>			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	181	65	140
ნაღდი ფული და საბანკო ანგარიშები	1	-	-
	182	65	140
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	300	724	143
	300	724	143
წმინდა პოზიცია	(118)	(659)	(3)

ერთეული

2019 წლის 31 მარტი	დოლარი	ევრო	ბრიტანული ფუნტი
<i>ფინანსური აქტივები</i>			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	89	48	109
ნაღდი ფული და საბანკო ანგარიშები	348	540	108
	437	588	217
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>			
სესხები	10,625	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	734	2,927	237
	11,359	2,927	237
წმინდა პოზიცია	(10,922)	(2,339)	(20)

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15% (2018: 15%) კლება/მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 15% (2018: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და წლის ბოლოს აკორექტირებს მათ 15%-იანი (2018: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარის, ევროს და ფუნტის მიმართებაში 15%-ით (2018: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ათასი ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა		ფუნტის გავლენა	
	2019	2018	2019	2018	2019	2018
მოგება/ზარალი	18	1,638	99	351	1	3

სავალუტო კურსების სხვაობების გამოვლინებები წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ოპერაციებზე. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს კომპანიის სავალუტო რისკის პოზიციას.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია განიცდის საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებიდან, როგორებიცაა ფულის ექვივალენტები ბანკებში და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

საკრედიტო რისკის მართვა ხდება კომპანიის მიერ, თავისი საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების საფუძველზე.

ბანკებთან ფულადი ნაშთებისა და დეპოზიტების მიმართ საკრედიტო რისკის მართვა, ხდება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციით და მხოლოდ მთავარ რეპუტაციულ ფინანსურ ინსტიტუტებთან არის დაკავშირებული.

კომპანიის შემოსავალი ძირითადად მიიღება საცალო ვაჭრობიდან (96% -ზე მეტი) გაყიდვების დროს გარიგების ფულადი ანგარიშსწორებით. შემოსავლების დანარჩენი მცირე ნაწილი მთლიანად მიღებული აქვს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ პირებთან ვაჭრობიდან (ტანსაცმლის საცალო ვაჭრობით Fawaz Abdulaziz Al Hokair & Co. ჯგუფთან). კომპანია არ იყენებს საკრედიტო შეფასებისა და მონიტორინგის პოლიტიკას საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტების მიმართ, რადგან ეს გარიგებები ხორციელდება Fawaz Abdulaziz Al Hokair Group- ის გლობალური ბიზნესის სავაჭრო მოდელის ფარგლებში და ამგვარი სავაჭრო გარიგებებიდან მოთხოვნები ძირითადად სრულად მიიღება.

კომპანიას არ გააჩნია უსაფრთხოების სისტემები სავაჭრო მოთხოვნების ბალანსისთვის. ამის გარდა, კომპანიას არ აქვს უზრუნველყოფები სხვა ფინანსურ აქტივებზე (მაგალითად ფულზე და ფულის ექვივალენტებზე ბანკში).

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ასაღიარებლად ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის, რადგან აღნიშნული მუხლები არ შეიცავს მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, სავაჭრო მოთხოვნები ფასდება კოლექტიურად, რადგან მათ გააჩნიათ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მოთხოვნები დაჯგუფებულია გადავადებული დღეების მიხედვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალი მოცემულ პერიოდში, დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო პროფილზე ბოლო 48 თვის მანძილზე. სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება (შეწყვეტილია აღიარება), როცა აღარ არის მათი დაფარვის გონივრული მოლოდინი. ინვოისის გამოწერის თარიღიდან 180 დღის ვადაში გადაუხდელობა და ამასთან კომპანიასთან ჩაურთველობა ალტერნატიული გადახდის განსაზღვრისთვის, მიაწინებს, რომ მოთხოვნის დაფარვის მოლოდინი არაგონივრულია. ზემოთ აღწერილი კომპანიის ოპერაციების მახასიათებლების (საცალო ვაჭრობა ფულადი ანგარიშსწორებით და დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციებით, რომლებიც ხორციელდება საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ პირებს შორის) მიუხედავად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებამ გავლენა არ მოახდინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე 2019 წლის 31 მარტის და 2018 წლის 1 აპრილის მდგომარეობით შემდეგნაირად განისაზღვრა:

ათასი ლარი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მიმდინარე ღირებულება	მთლიანი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
2019 წლის 31 მარტი			
1 წელზე მეტი	100%	(123)	(123)
		(123)	(123)
ათასი ლარი			მთლიანი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
2018 წლის 1 აპრილი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მიმდინარე ღირებულება	
1 წელზე მეტი	100%	(123)	(123)
		(123)	(123)

გაუფასურება ეხება ინდივიდუალურ მოთხოვნას, რომელიც წარმოიშვა 2012 წელს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოსთან.

ე) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს დადამდგარი ვალდებულებები

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივარებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი

ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილი იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2019 წლის 31 მარტი

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)			
6 თვეზე ნაკლები	4,737	-	4,737
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-
1-5 წლამდე	-	-	-
5 წელზე მეტი	-	-	-
	4,737	-	4,737

2018 წლის 31 მარტი

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		7.62%	
6 თვეზე ნაკლები	2,980	-	2,980
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-
1-5 წლამდე	-	-	-
5 წელზე მეტი	-	15,341	15,341
	2,980	15,341	18,321

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად. კომპანიის ფული და მოთხოვნები ნაკლებია ფულად გადახდებზე არსებულ მოთხოვნებზე.

21 სამართლიანი ღირებულება

კომპანია ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე სამართლიანი ღირებულების განსაზღვრადობის ხარისხის მიხედვით. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2- სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივისა ან ვალდებულების;
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

21.1 ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების (ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა, კომპიუტერული სა სხვა ტექნიკა), სავარაუდო სამართლიანი ღირებულებები, რომლებიც განიცდიდნენ გაუფასურებას 2019 წლის 31 მარტისთვის, კლასფიცირდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 ან მე-3 დონეზე.

ინდივიდუალური აქტივების სამართლიანი ღირებულება გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით განისაზღვრება საბაზრო მეთოდით, სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეების გამოყენებით. საჭიროების შემთხვევაში, მოცემული შენატანები განისაზღვრება, როგორც “იძულებითი გაყიდვები”, იმ შემთხვევებში, როდესაც მსგავსი აქტივებისთვის აქტიური ბაზარი ან მონაწილეთა სურვილი არ არსებობს. “იძულებითი გაყიდვების” შეფასების ძირითადი მიდგომები მოიცავს შემდეგს:

- აქტივებზე მოთხოვნის ელასტურობა;
- გაყიდვისთვის საჭირო მოსალოდნელი დრო;
- პოტენციური ბაზრის მონაწილეთა დაფინანსების ხარჯები, საშუალო საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მიხედვით

22 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა მოიცავს საწესდებო , კაპიტალში კონტრიბუციას და აკუმულირებულ ზარალს.

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს შეინარჩუნოს ეფექტური მთლიანი დაფინანსების სტრუქტურა და თან აირიდოს გადაჭარბებული ლევერიჯი/რისკიანობა. ასევე ითვალისწინებს კომპანიის დავალიანებების დაქვემდებარების სხვადასხვა დონეს.

კომპანიის მიერ, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, კაპიტალის სახით მართული თანხები შეჯამებულია ქვემოთ:

ათასი ლარი	2019 წლის 31 მარტი	2018 წლის 31 მარტი
სულ კაპიტალი	22,350	17,927
გამოკლებული: ნაღდი ფული და საბანკო ანგარიშები	(372)	(2,127)
კაპიტალი	21,978	15,800
სულ კაპიტალი	22,350	17,927
სესხები	-	10,625
სულ დაფინანსება	22,350	28,552
კაპიტალის დაფინანსებასთან თანაფარდობა	0.98	0.55

23 გაუთვალისწინებელი გარემოებები

23.1 ბიზნეს გარემო

საქართველო აგრძელებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნესს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე,

რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. მმომავალი ეკონომიკური განვითარებისათვის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს ეკონომიკური და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე, ცენტრალიზებულ ეკონომიკურ ბაზართან, რეგიონალურ არასტაბილურობასა და საერთაშორისო კრიზისთან ერთად.

მსოფლიოს იმ ქვეყნების ეკონომიკის გაუარესებამ, რომლებსაც საქართველოსთან აქვთ ურთიერთობა განაპირობა საზღვარგარეთ ფულადი გზავნილების დეფიციტი, რომლებზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკა. რეგიონულ პროდუქტებზე საერთაშორისო ფასების ვარდნამ, პირდაპირი კაპიტალის ინვესტიციებისა და ინფლაციის მოზიდვის შესაძლებლობების განუსაზღვრელობამ შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. ვინაიდან ამ გაურკვეველი ცვლადებისა და დაშვებების რაოდენობა დიდია, ხელმძღვანელობა ვერ გააკეთებს საიმედო შეფასებას იმ თანხების შესახებ, რომლითაც შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე.

კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ იდგმება შესაბამისი ზომები კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარცუნებლად.

23.2 გადასახადები

საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია საქართველოში და ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომლებიც ხშირად იწვევენ ინტერპრეტაციებს. სხვადასხვა საგადასახადო წარმომადგენელსა თუ იურისდიქციას შორის, ხშირია განსხვავებული ინტერპრეტაციები. გადასახადები განხილვის საგანია იმ საგადასახადო წარმომადგენლებისთვის, რომლებიც კანონით არიან უფლებამოსილნი დაარიცხონ ჯარიმები და საურავები.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა საქართველოში უფრო მეტად გამოიწვიოს საგადასახადო რისკი, ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს, ყველა მოთხოვნასა და განმარტებასთან შესაბამისად. თუმცა, შესაძლოა, რომ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხზე განსხვავებული განმარტები გააკეთონ, რა შემთხვევაშიც ეფექტი კომპანიაზე შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

24 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

კომპანიის ვალდებულებები წარმოქმნილი საფინანსო საქმიანობიდან შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	გრძელვადიანი სესხები	სულ
2017 წლის 1 აპრილი	-	-
ფულადი ნაკადების მოძრაობა		
სესხის დაფარვა	(4,763)	(4,763)
სესხის აღება	20,722	20,722
არაფულადი ნაკადების მოძრაობა		
სამართლიანი ღირებულება	(4,785)	(4,785)
დარიცხული პროცენტი	488	488
საკურსო სხვაობა (მეტობა)/დანაკლისი	(1,037)	(1,037)
2018 წლის 31 მარტი	10,625	10,625
ფულადი ნაკადების მოძრაობა		
სესხის დაფარვა	(15,125)	(15,125)
სესხის აღება	-	-
არაფულადი ნაკადების მოძრაობა		
სამართლიანი ღირებულება	3,586	3,586
დარიცხული პროცენტი	398	398
საკურსო სხვაობა (მეტობა)/დანაკლისი	516	516
2019 წლის 31 მარტი	-	-

25 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი მშობელი კომპანია, სხვა კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ, ძირითადი ხელმძღვანელობა და სხვა ქვემოთ აღწერილნი.

25.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს “Retai Group Georgia”. შპს “Retai Group Georgia”-ს მფლობელები არიან: “Advanced Retail International Co United Kingdom of Saudi Arabia”, რომელიც ფლობს წილის 80%-ს, 20%-ის მფლობელს კი წარმოადგენს “International Fashion Trading Limited, United Kingdom of Saudi Arabia”. საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს “Fawaz Abdulaziz Al Hokair & Co., United Kingdom of Arabia”.

25.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ნაშთები:

ათასი ლარი

ტრანზაქციები	2019 წლის 31 მარტი	2018 წლის 31 მარტი
<i>კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ</i>		
საქონლის რეალიზაცია	2,274	2,982
მარაგების შესყიდვა	2	352
საპროცენტო ხარჯი	398	488
სესხის მიღება	-	20,722
სესხების დაფარვა	15,125	4,763
<i>მშობელი კომპანია</i>		
მენეჯერული მომსახურების შემოსავლები	1,094	1,329

ათასი ლარი

ბალანსები	2019 წლის 31 მარტი	2018 წლის 31 მარტი
<i>კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	509	369
მიღებული სესხები	-	10,625
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	147	352



Fashion Retail Georgia



RETAIL GROUP GEORGIA

მმართველობითი ანგარიში **2018-19** ფინანსური წელი

13 დეკემბერი **2019**

მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები:

უფლებამოსილი წარმომადგენელი:

რევაზ მაღალაშვილი

ფინანსური მენეჯერი:

ფიქრია გვიშიანი

RETAIL GROUP GEORGIA

ALHOSAINI
الحوصاني

შპს „Retail Group Georgia“ მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი და მრავალფეროვანი პორტფოლიოს მქონე Alhokair Fashion Retail-ის დაქვემდებარებაში მყოფი კომპანიაა, რომლის სათავე ოფისი საუდის არაბეთში მდებარეობს. Alhokair-ი 90-მდე ბრენდს აერთიანებს, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ბალკანეთის ქვეყნებსა და ამერიკაში 2 000-ზე მეტ მაღაზიას უძღვება. ჯგუფის ოფიციალური ვებ საიტია <http://www.fawazalhokairfashion.com/>.

Alhokair-ი საქართველოს ტერიტორიაზე ფლობს სავაჭრო ნიშანზე უფლებას ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და აქსესუარების ისეთ ბრენდებზე, როგორიცაა Zara, Massimo Dutti, Marks&Spencer, Mango, Us Polo, Charles & Keith, Monsoon, Flormar, Aldo, GAP, Banana Republic, Clarks, Promod დაქ სხვ. სავაჭრო ობიექტების მართვა ხორციელდება ფრენჩაიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების ყველა მოთხოვნის დაცვით.

შპს Retail Group Georgia-ს დამფუძნებლებს წარმოადგენენ შემდეგი იურიდიული პირები: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება Advanced Retail International Co., საუდის არაბეთის სამეფო, , 101028295 -80% წილის მესაკუთრე და International Fashion Trading Limited A010/04/11/3277, არაბთა გაერთიანებული საემიროები - 20% წილის მესაკუთრე. მმართველობით ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურე საბჭო, რომელიც შედგება 3 წევრისგან, ხოლო წარმომადგენლობით/ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი.

დანარჩენი 9 კომპანიის ერთპიროვნული დამფუძნებელია შპს „Retail Group Georgia“ – 100% წილის მესაკუთრე. ეს კომპანიებია:

Retail Group Georgia-ს შვილობილი კომპანიები	ბრენდის დასახელება	სავაჭრო მოლი	გახსნის დღე	ფართი (კვ.მ)	დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა
Best Retail Georgia	Bershka	East Point	9/11/2015	922.00	11
	Bershka	Tbilisi Mall	4/7/2012	732.00	14
	2 Go	Gldani City Mall	10/21/2017	582.50	11
	2 Go	Batumi Central	4/20/2018	737.30	7
Fashion Retail Georgia	Aldo	East Point	9/12/2015	194.70	5
	Aldo	Tbilisi Mall	4/7/2012	145.00	6
	Aldo Accessories	East Point	9/12/2015	68.80	5
	Charles & Keith	East Point	9/12/2015	117.30	5
	Charles & Keith	Tbilisi Mall	4/7/2012	149.00	5
	Clarks	Tbilisi Mall	7/14/2012	108.00	4
	F&F	Tbilisi Mall	8/18/2013	401.00	9

F&F	East Point	6/18/2018	184.80	6
Flormar	East Point	9/12/2015	40.90	5
Flormar	Tbilisi Mall	5/30/2014	49.00	5
Jennyfer	Tbilisi Mall	10/25/2012	122.00	5
La Vie En Rose	Tbilisi Mall	4/8/2012	135.49	5
Lasenza	Tbilisi Mall	4/7/2012	168.00	5
Lipsy	Tbilisi Mall	4/9/2012	170.00	4
Mango	East Point	9/19/2015	1,372.40	23
Mango	Tbilisi Mall	9/4/2015	599.00	17
Miss Selfridge	Tbilisi Mall	11/18/2012	152.00	1
Monsoon	East Point	10/3/2018	200.24	3
Monsoon	Tbilisi Mall	6/22/2018	202.00	6
Promod	Tbilisi Mall	11/19/2012	188.00	6
Quiz	Tbilisi Mall	10/20/2012	110.00	4
Sgt. Major	East Point	9/12/2015	86.00	4
Sgt. Major	Tbilisi Mall	5/11/2012	130.00	5
Spring	Tbilisi Mall	9/13/2012	88.00	5
Tape A l'oeil	East Point	9/12/2015	184.80	4
Tape A l'oeil	Tbilisi Mall	5/23/2014	204.00	5
Topshop	Tbilisi Mall	11/24/2012	804.00	7
US Polo	East Point	9/12/2015	263.90	5
US Polo	Tbilisi Mall	4/7/2012	197.00	5
Wallis	Tbilisi Mall	11/21/2012	159.00	4
Ziddy	East Point	9/12/2015	273.60	6
Ziddy	Tbilisi Mall	12/12/2014	204.00	6

Global Apparel Georgia	Banana Republic	Tbilisi Mall	6/21/2012	395.00	6
	GAP	Tbilisi Mall	7/14/2012	663.00	9
Master Home Retail	Zara Home	Tbilisi Mall	2/2/2018	468.00	11
Master Retail Georgia	Massimo Dutti	East Point	9/12/2015	864.70	10
	Massimo Dutti	Merani Mall	4/26/2013	605.00	14
	Massimo Dutti	Tbilisi Mall	4/7/2012	555.00	14
Mega Store Georgia	Stradivarius	East Point	9/12/2015	434.80	11
	Stradivarius	Tbilisi Mall	4/7/2012	293.00	12
Pro Retail Georgia	Pull & Bear	Tbilisi Mall	4/7/2012	559.00	15
Retail Group Georgia	Marks & Spencer	Tbilisi Mall	11/3/2012	1,289.00	17
Retail Group Holding	Oysho	Tbilisi Mall	4/7/2012	224.00	7
Spanish Retail Georgia	Zara	East Point	9/11/2015	2,211.50	47
	Zara	Merani Mall	5/10/2013	1,920.00	56
	Zara	Tbilisi Mall	4/7/2012	1,975.00	56
ჯამი				22,902.73	514

წარმომადგენლობით/ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი. დამფუძნებლები/პარტნიორები ფლობენ კომპანიის წესდებითა და საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

შპს „Fashion Retail Georgia“-ში დასაქმებულია 200-ზე მეტი ადამანი. 2018-2019 ფინანსურ წლისთვის კომპანიას გახსნილი აქვს 34 სავაჭრო ობიექტი თბილისის მოლში (21 მაღაზია), ისთ ფონთში (11 მაღაზია), სითი მოლი გლდანში (1 მაღაზია), ბათუმი ცენტრალი (1 მაღაზია).

2019 წლის ოქტომბერში ჯგუფი ვგეგმავთ 14 ახალი კონცეფციის მაღაზიის გახსნას თბილისის ცენტრში, საბურთალოზე მშენებარე სავაჭრო ცენტრ „City Mall“-ში. ახალი ობიექტების გახსნით მოვახდენთ 25 მილიონი ლარის ინვესტირებას და დამატებით დავასაქმებთ 200-ზე მეტ ადამიანს. წლების მანძილზე განვახორციელებთ ათობით მილიონი ლარის ინვესტიციას, წარმოდგენილი ვართ დედაქალაქის 4 სავაჭრო მოლში, დასაქმებული გვყავს 800-ზე მეტი მოქალაქე და იმედი გვაქვს, რომ ტენდენცია ასეც გაგზავნის კომპანიის ზრდისა და განვითარების პარალელურად. ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ბრენდ პარტნიორებმა არაერთხელ გვალარეს ჩვენი მაღალი სტანდარტების გამო ქართულ ბაზარზე, გადმოგვეცა არაერთი საერთაშორისო ჯილდო. მომდევნო ფინანსურ წელს არა მხოლოდ თანამშრომლების რიცხვის გაზრდას ვგეგმავთ, არამედ - ბრენდებისაც.

ბოლო ორი წლის განმავლობაში პერმანენტულად მიმდინარეობს მარკეტინგული ღონისძიებები პრომო აქტივობების მხარდასაჭერად, ახალი სეზონის, ფასდაკლების ანონსირების, ბრენდების ბაზარზე პოზიციონირებისთვის. მარკეტინგული აქტივობები მიმდინარეობს როგორც მაღაზიებში, ასევე მოლემში, ონლაინ არხებით, სოციალური მედიის საშუალებით (ფეისბუქი, ინსტაგრამი), ტელევიზიით საერთაშორისო ბრენდების სეზონური გაიდლაინების შესაბამისად და ლოკალური ბაზრის სპეციფიკაციის გათვალისწინებით.

ასევე, კომპანია პარტნიორულ პროექტებს ახორციელებს სხვა ბიზნეს სუბიექტებთან - საქართველოს ბანკთან, თბილისი მოლთან, ისთ ფონითთან, მერანი მოლთან ერთობლივი პროდუქტებისა და აქციების მხარდაჭერით, მედიასთან - პრინტ, ონლაინ და ტელე გადაცემებში ბრენდების და კომპანიის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ბოლო წლის განმავლობაში განხორციელდა არაერთი პარტნიორული პროექტი სხვადასხვა მიმართულებით: ორგანიზაცია "Caritas Georgia"-სთან თანამშრომლობით Retail Group-მა განათავსა საქველმოქმედო ყუთები რამდენიმე მაღაზიაში, სადაც სოციალურად დაუცველებისთვის ხდება ტანსაცმლისა და სხვა ნივთების შგროვება. ამ მიმართულებით მომავალ წელს თანამშრომლობის გაფართოება იგეგმება. კომპანიამ ასევე განაგრძო ტრადიციული პარტნიორობა საქველმოქმედო ფონდ "ბილივთან". შედეგად, ამ უკანასკნელმა შეძლო საქველმოქმედო აუქციონზე მნიშვნელოვანი თანხების მობილიზება, რასაც მიმართავს სიღარიბის აღმოფხვრის, ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის და სხვა პროექტების გასახორციელებლად.

როგორც აღვნიშნეთ, ჯგუფს საქართველოში დასაქმებული გვყავს 600-ზე მეტი ადამიანი, აქდან 200-ზე მეტი თანამშრომელი დასაქმებულია Fashion Retail Georgia-ს სავაჭრო ობიექტებში. კომპანიის შრომითი ხელშეკრულება სრულიად შესაბამისობაშია დასაქმებულის უფლებებთან, ეთიკის ნორმებთან და შრომით კანონმდებლობასთან. არ არსებობს პუნქტი რომელიც აუარესებს შრომითი კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, პირიქით მაქსიმალურად იცავს დასაქმებულის ინტერესებს. სასამართლო დავის რისკები დაყვანილია მინიმუმამდე, რადგან ჩვენ ყოველთვის ვიცავთ დასაქმებულების ინტერესებს და მაქსიმალურად ვცდილობთ მათი ცნობიერების გაზრდას მათივე უფლებების შესახებ. დასაქმებულებს მკაფიოდ განსაზღვრული აქვთ შინაგანაწესი და ღირებულებები, მათი შესრულების საკვანძო მაჩვენებლები (KPI) მათთან წლის დასაწყისში თანხმდება, ხელმოწერით დასტურდება და მასზე დაყრდნობით ეძლევათ შესრულებაზე უკუკავშირი.

ამასთან, მუდმივად ვიღებთ რეკომენდაციებს როგორც ლეგალური შიდა წყაროებიდან, ისე საკონსულტაციო კომპანიისგან, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს ნებისმიერი საკადრო რისკი დაყვანილი იყოს მინიმუმამდე. კომპანია ყოველ წელს ატარებს კმაყოფილებისა და ჩართულობის სრულფასოვან გამოკითხვას, რათა გაიგოს დასაქმებულთა კმაყოფილების დონე და დაადგინოს ის ასპექტები და საჭიროებები, რომლებიც დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს. ასევე, პერიოდულად ვატარებთ სახელფასო კვლევებს, რათა გავარკვიოთ თუ რამდენად კონკურენტული დასაქმების პირობები გვაქვს.

ჩვენი მთავარი კონცეფცია ასეთია: ავიღოთ საუკეთესო საერთაშორისო მოდის ბრენდები, მათი პრინციპები და ეს ყველაფერი გავაზავოთ ადგილობრივ ბაზარზე დაგროვებულ ცოდნასა და გამოცდილებასთან, რასაც ამავე ბაზარზე გამოცდილებამიღებული კადრები ფლობენ. ამიტომაცაა, რომ ყველაზე წარმატებული მსოფლიო ბრენდები სწორედ ჩვენ გვირჩევენ პარტნიორად.

კომპანია შვიდი წლის თავზე საკუთარ თავს ასე ხედავს: განვითარების პროცესი, ცხადია, გრძელდება და ეს მუდამ გააზრებული გვაქვს. ბაზრის კვლევას - მოდის ტენდენციების ცვლილებას, მომხმარებლების ჩვევების შესწავლას კომპანია დღემდე დიდ დროს უთმობს. სწორედ კლიენტებთან დამყარებული უკუკავშირის საფუძველზე ვახერხებთ გავითვალისწინოთ მომხმარებლის ინტერესები, დავამკვიდროთ ვაჭრობის სფეროში მომსახურების ნოვატორული სტანდარტი და მსოფლიო ტენდენციების ფეხდაფეხ შევთავაზოთ ქართველ მომხმარებლებს

მუდმივად განახლებული კოლექციები, სპეციალური აქციები, ფასდაკლებები, სასაჩუქრე ბარათები და ნოვატორული პროდუქტები ჩვენს პარტნიორ საფინანსო ორგანიზაციებთან ერთად.

2018-19 ფინანსურ წლის ბოლოს Fawaz Abdulaziz Alhokair Co.-ს ჯგუფმა მოახდინა ხარჯების ოპტიმიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე, მათ შორის საქართველოშიც. ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილების შედეგად საქართველო, სასომხეთი და ბალკანეთის ქვეყნები გაერთიანდნენ ერთი რეგიონალური სტრუქტურის ქვეშ. The Saudi Stock Exchange Tadawul - <https://www.tadawul.com.sa>-ზე გამოქვეყნებულია Fawaz Abdulaziz Alhokair Co.-ს 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით მომზადებული აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება და შენიშვნები (იხ. ცხრილი ქვემოთ).

მილიონი საუდის არაბეთის
რიალი

დასახელება	ფინანსური წელი 2018-19	ფინანსური წელი 2017-18	ცვლილება %
შემოსავლები	5,425.80	6,116.52	-11.292
წლის საერთო მოგება/ზარალი	1,084.50	1,214.62	-10.712

გამოქვეყნებული ანგარიშგების მიხედვით მიმდინარე ფინანსურ წელს (2018-19) Fawaz Abdulaziz Alhokair Co.-ს ჯგუფის შემოსავლები შემცირებულია 11.3%-ით წინა ფინანსურ წელთან (2017-18) შედარებით. ასევე, წინა წელთან შედარებით, 10.71%-ით შემცირებულია მიმდინარე წლის მოგება. შესაბამისად, ჯგუფის მენეჯმენტის მიერ განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები:

1. გაყიდვების თვითღირებულების ხარჯების შემცირდა 11.4%-ით წინა წელთან შედარებით;
2. წამგებიანი მაღაზიების დახურვის ხარჯზე გაყიდვების და მარკეტინგული ხარჯების შემცირდა 27.2%-ით წინა წელთან შედარებით;
3. ბექ და ჰედ ოფისების დანახარჯების ოპტიმიზაციის შედეგად ადმინისტრაციული ხარჯების შემცირდა 12.8%-ით წინა წელთან შედარებით;

როგორც ავღნიშნეთ, Retail Group Georgia არის Fawaz Abdulaziz Alhokair Co.-ს ჯგუფის წარმომადგენელი კომპანია საქართველოში. თუ შეხედავთ ორივე წლის მონაცემებს (იხ. ცხრილი ქვემოთ), 2018-2019 ფინანსურ წელს ჯგუფში ზოგადად შემოსავლების შემცირების ტენდენცია იკვეთება, ამიტომ ზემოთ აღნიშნული ცვლილებები შეეხო შპს "Retail Group Georgia"-საც, რადგანაც ის მოქმედებს ჯგუფის მენეჯმენტის პოლიტიკისა და მითითებების შესაბამისად.

შემოსავლები

კონსოლიდირებული

ლარი	2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით	2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით
ადგილობრივი გაყიდვები	118,667.00	135,473.00
ექსპორტი	4,432.00	5,221.00
	123,099.00	140,694.00

2020-2021 ფინანსური წლისათვის ვგეგმავთ ნაკლებშემოსავლიანი მაღაზიების ახალი ბრენდებით ჩანაცვლებას. უკვე შეთანხმებული გვაქვს 4 ახალი ბრენდის შემოყვანა ბაზარზე.

ჩვენი ბიზნესის წარმატებისათვის მთავარ გამოწვევად რჩება კონკურენცია ონლაინ არხებიდან, ასევე მომხმარებელთა პრეფერენციების ცვლილების ტემპი. ამიტომ, 2020 წლის შემოდგომაზე ქვეყნის საცალო ბაზარს მნიშვნელოვან სიახლეს შევთავაზებთ. ჩვენი ჯგუფის

უდიდესი ბრენდი ონლაინ გახდება ხელმისაწვდომი ქართველი მომხმარებლისთვის. მომდევნო 2 წლის მანძილზე კიდევ 8 ბრენდი დაემატება ონლაინ სივრცეს.

როგორც მიმდინარე, ასევე მომავალი ფინანსური წლის მთავარ გამოწვევად რჩება გამაფრებული კონკურენცია და ბაზრის წილის ზრდა. როგორც ვხედავთ, საქართველოს ეკონომიკა იზრდება ვალუტის კურსის მკვეთრი მერყეობით და ფასების ზრდის თანხლებით. სავალუტო რისკი ჩვენი ჯგუფისთვის წარმოადგენს დანაკარგების შესაძლო საფრთხეს, რაც დაკავშირებულია უცხოური ვალუტის (აშშ დოლარი, ევრო, ფუნტი სტერლინგი) კურსის ცვლილებით ლართან მიმართებაში, რაც წარმოიქმნება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების განხორციელებისას. კომპანიას ჩამოაყალიბებული აქვს სავალუტო რისკის მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს რისკის გაზომვის, კონტროლირებისა და მისი გავლენის მინიმუმამდე დაყვანას. მაგალითად, ექსპორტის შემთხვევაში (სომხეთი, აზერბაიჯანი) თუ გვაქვს მოლოდინი, რომ მისაღები ვალუტა გაუფასურდება რამოდენიმე კვირაში, ვითხოვთ გადასახდელი თანხის დაუყოვნებლივ მიღებას.

იმპორტის შემთხვევაში, თუ გვაქვს მოლოდინი, რომ ადგილობრივი ვალუტა გაუფასურდება, ბრენდ პარტნიორებთან მოლაპარაკებების გზით ვცდილობთ გადასახდელი თანხის გადავადებას. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია შეთანხმებით (დაკავშირებულ მხარეებთან) ან საკრედიტო ვადების გაზრდით.

რაც შეეხება სხვა რისკებს, ჩვენს მთავარ გამოწვევად რჩება ის სავაჭრო ობიექტები და აუთლეტები, რომლებიც ვაჭრობენ ისეთი ბრენდებით, რომლებზეც ფრანშიზული შეთანხმება საქართველოს ტერიტორიაზე აქვს მხოლოდ Retail Group Georgia-ს ჯგუფში შემავალ კომპანიებს. რა თქმა უნდა ასეთ კომპანიებს გარდა იმისა, რომ ეწევიან არაკანონიერი გზით სხვადასხვა ბრენდების რეალიზაციას, არ აქვთ ის უპირატესობები, რომელსაც ჩვენ, როგორც ფრანჩაიზი ვიღებთ ბრენდ პარტნიორისგან: ექსკლუზიურობა, უნიფიცირებული პოლიტიკა და პროცედურები, ცენტრალიზირებული შესყიდვები ფასდაკლებით, მუდმივი კონსულტირება პროდუქციასთან დაკავშირებით, თანამშრომლების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

2019-2020 ფინანსურ წელს ჯგუფს დაგეგმილი გვაქვს შიდა (ანუ ორგანული) ზრდა 23.27% ოდენობით, 2018-2019 ფინანსურ წელთან შედარებით კი დაგეგმილი გვაქვს LFL-ის 4%-იანი ზრდა. რაც შეეხება Fashion Retail Georgia-ზე რეგისტრირებულ ბრენდებს, 2019-2020 ფინანსურ წელს დაგეგმილი გვაქვს შიდა (ანუ ორგანული) ზრდა 10.44% ოდენობით.

Fashion Retail Georgia-ს შემოსავლების ზრდასთან ერთად 2019-2020 ფინანსური წლისთვის დაგეგმილია 19.30%-იანი EBITDA-ს მიღწევა, წმინდა მოგების მარჟამ კი 13.2% უნდა შეადგინოს. რაც შეეხება კომპანიის კაპიტალის კოეფიციენტს სასესხო ვალდებულებებთან მიმართებაში, 2018 წლის მარტის მდგომარეობით შეადგენდა 0.55, 2019 წლის მარტის მდგომარეობით კი 0.98. 2018 წლის იანვარში დაკავშირებული პირის მიერ გაცემული სესხი (8 მლნ. აშშ დოლარი) სრულად დაიფარა 2018 წლის ნოემბერში.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა მოიცავს საწყის კაპიტალს, დამატებით კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგება-ზარალს. ჯგუფში ისე ვმართავთ კაპიტალს, რომ შევძლოთ შევინარჩუნოთ ეფექტური მთლიანი დაფინანსების სტრუქტურა და თავიდან ავირიდოთ გადაჭარბებული რისკიანობა.

2017-2018 ფინანსურ წელს განხორციელდა კაპიტალში შენატანი, რომელიც მოიცავს სხვაობას მიღებული სესხის ნომინალურ და საბაზრო ღირებულებას შორის. კომპანიამ აღნიშნული სხვაობა აღიარა, როგორც კაპიტალში შენატანი (4.8 მილიონი ლარი). 2018-2019 ფინანსური წლის ბოლომდე სესხი მთლიანად იქნა დაფარული ვადამდე (2018 წლის იანვარში დაკავშირებული პირის მიერ გაცემული სესხი 8 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით), სხვაობა კი, რომელიც წარმოიშვა სესხის გრაფიკის ცვლილებით, აღიარდა როგორც კაპიტალში კონტრიბუციის კლება. 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენდა 17.9 მილიონ ლარს, სესხები 10.6 მილიონ ლარს, სულ დაფინანსება 28.6 მილიონ ლარს. 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით კი 22.4 მილიონ ლარს.

თუ გადავხედავთ კომპანიის მოგება-ზარალის უწყის, 2018-2019 ფინანსურ წელს ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვები 15.6% შემცირებულია 2017-2018 ფინანსურ წელთან შედარებით. რაც შეეხება ადმინისტრაციულ ხარჯებს, 2018-2019 ფინანსურ წელს 25.53%-ით არის შემცირებული წინა ფინანსურ წელთან შედარებით.

რეგიონში ჩვენი საქმიანობა Fawaz Abdulaziz Alhokair Co.-ს ჯგუფის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად ხორციელდება. ჯგუფის ყველა წევრს კარგად აქვს გაცნობიერებული საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესში.